განათლების ხარისხის
განვითარების ეროვნული ცენტრი

დანართი

სკოლამდელი განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი

უმაღლესი განათლების I საფეხური

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონე

2024

I. შესავალი

სკოლამდელი განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი[1] განსაზღვრავს სკოლამდელი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების მისაღწევი აუცილებელი სწავლის შედეგების მინიმუმს, მათ მისაღწევად საჭირო სწავლება-სწავლის, შეფასების მიდგომებს, რესურსებს და სხვა არსებით მახასიათებლებს, რაც საჭიროა უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებისთვის კვალიფიკაციის მისანიჭებლად.

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია ხელი შეუწყოს ეროვნული საჭიროებებისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი განათლების სფეროში უმაღლესი განათლების პროგრამების შემუშავებას, სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდოლოგიის დანერგვას, კვალიფიკაციის საერთაშორისო დონეზე აღიარებას, მობილობასა და ისეთი კომპეტენციების ჩამოყალიბებას, რომელთა საფუძველზე კვალიფიკაციის მფლობელი შეძლებს სწავლის გაგრძელებას უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე, პროფესიულ განვითარებას, შრომის ბაზარზე შესვლას და კარიერულ წინსვლას.

დოკუმენტი ხელს შეუწყობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისი კომპეტენციების მქონე სკოლამდელი განათლების სპეციალისტის მომზადებას, რომელსაც გაცნობიერებული აქვს პროფესიის და შესასრულებელი ვალდებულებების სპეციფიკა, გააჩნია პროფესიული საქმიანობისთვის აუცილებელი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები, შეუძლია ადრეული ასაკის ბავშვებთან განათლების სფეროში პროფესიული ვალდებულებების და პასუხისმგებლობების შესრულება, ბავშვის ჰოლისტურ განვითარებაზე ზრუნვა, ბავშვზე ორიენტირებული მიდგომების გამოყენება, სიტუაციის/ინფორმაციის/მონაცემების შეფასება-ანალიზი შესაბამისი მეთოდების გამოყენება, თვითრეფლექსია და კომპეტენციის ფარგლებში სწორი გადაწყვეტილებების მიღება; დარგობრივი ტერმინოლოგიის სწორი გამოყენებით წერითი და ზეპირი კომუნიკაცია, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და კომპიუტერული პროგრამების გამოყენება, პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა და სხვა.

წარმოდგენილი დოკუმენტი ემსახურება საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ დამოუკიდებლად გამოსაყენებელ სამიზნე ნიშნულების ინსტრუმენტს და ასახავს თუ რას მოელის დარგი კვალიფიკაციის

[1] დარგობრივი მახასიათებელი წარმოადგენს შუალედურ დოკუმენტს, რომელიც ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოს აკავშირებს საგანმანათლებლო პროგრამასთან. იგი აღწერს იმ მინიმალურ სწავლის შედეგებს, რომელიც უნდა ჰქონდეს შესაბამისი დონისა და სწავლის სფეროს/დარგის კვალიფიკაციის მფლობელს, თუმცა არ ამოწურავს ამ სფეროსთან დაკავშირებულ სწავლის შედეგებს. ამასთან, დარგობრივი მახასიათებლის მიზანია საგანმანათლებლო პროგრამების მრავალფეროვნებისა და მოქნილობის უზრუნველყოფა. საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ დაწესებულებას შეუძლია დარგობრივ მახასიათებელში აღნიშნული სწავლის შედეგების სტრუქტურულად განსხვავებულად ჩამოყალიბება.

მფლობელისგან: ცოდნა, უნარები, ღირებულებები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. გარდა ამისა, დოკუმენტი აკადემიური საზოგადოებისათვის ქმნის მყარ ფუნდამენტს სწავლების პროცესის სრულყოფისათვის, აღწერს სწავლების ბუნებას და კვალიფიკაციის მფლობელთა აკადემიურ სტანდარტებს კონკრეტულ სფეროში და კონკრეტულ კვალიფიკაციებთან მიმართებაში.

სკოლამდელი განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი ეფუძნება :

- „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს;
- „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს;
- ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებს;
- საქართველოს ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოს;
- უმაღლესი განათლების ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს;
- მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს;
- აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტს;
- ეროვნულ დონეზე მიღებულ კანონქვემდებარე აქტებს;
- შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლის გაცნობა რეკომენდებულია:

- საგანმანათლებლო დაწესებულებებში სკოლამდელი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება-განვითარებასა და განხორციელებაში ჩართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის;
- აბიტურიენტთათვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ზემოაღნიშნული პროგრამის შესწავლით;
- სტუდენტთათვის, რომლებიც სწავლობენ სკოლამდელი განათლების საგანმანათლებლო პროგრამაზე;
- დამსაქმებელთათვის, რომლებიც დაინტერესებული არიან წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმებით;
- აკრედიტაციის, ავტორიზაციისა და აპელაციის საბჭოს წევრებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში;

- ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის პროცესში ჩართულ პირთათვის, რომლებსაც ევალებათ საგანმანათლებლო პროგრამების პერიოდულად შეფასება და ხარისხის მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა.

ინგლისურად დარგობრივი მახასიათებლის დასახელებაა - The Subject Benchmark Statement of Preschool Education

დარგობრივი მახასიათებლის მოქმედების ვადა 7 წელია.

პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

II. სწავლის სფეროს აღწერა

სწავლის სფერო მოიცავს ადრეული ასაკის (0-დან 8-წლამდე) ბავშვის განვითარების და განათლების შესახებ მეცნიერულ ცოდნასა და პროფესიულ პრაქტიკას, რომელიც ადამიანის ცხოვრების ყველაზე სენსიტიურ და კრიტიკულ პერიოდს უკავშირდება. ეს არის ინტენსიური ზრდისა და განვითარების ეტაპი, რომლისთვისაც ხარისხიანი განათლება და განვითარების ხელშემწყობი გარემო განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ ბავშვის აწმყოსა და მომავლის, ხოლო მეორე მხრივ, სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის.

დარგი ინტერდისციპლინურია განათლების, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის, პოლიტიკის, ჯანმრთელობის სფეროში დაგროვილი ცოდნითა და გამოცდილებით, რასაც ეფუძნება ადრეულ ასაკში ხარისხიანი განათლება და ბავშვის ყოველმხრივი განვითარების ხელშეწყობა. ამ პროცესში თავად ბავშვი თავისი განვითარების განმსაზღვრელია, მდიდარი, მრავალფეროვანი პოტენციალით, პროაქტიული მოქმედებებით და შემოქმედებითობით; მასზე გავლენას ახდენს ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური, სოციალური და კულტურული ფაქტორების ურთიერთდამოკიდებულება და უფროსის, საზოგადოების და სახელმწიფოს კონტექსტი.

საგანმანათლებლო პროგრამები უნდა ითვალისწინებდეს განვითარებისა და განათლების ჰოლისტურ, მთლიანობით ბუნებას და აერთიანებდეს ბავშვის ყველა ასპექტს, განათლების, ოჯახისა და თემის როლს, სხვადასხვა ფაქტორებისგავლენას ადრეულ ასაკში სწავლასა და განვითარებაზე, მათ შორის კულტურული და ენობრივი ფაქტორების გავლენას, ასევე გარემოში არსებულ რისკებს და საკანონმდებლო აქტებს, რომელიც ბავშვის უფლებების დაცვას და მასზე ზრუნვას უზრუნველყოფს.

სკოლამდელი განათლების სფერო მუდმივად განვითარებადი დარგია, შესაბამისად, პროგრამები უნდა პასუხობდეს დარგის პრაქტიკული, აკადემიური და პროფესიული განვითარების ცვალებად ტენდენციებს და თანამედროვე გამოწვევებს.

მისანიჭებელი კვალიფიკაციის (ბაკალავრის აკადემიური ხარისხის) მოსაპოვებლად საჭიროა კომპეტენციების მინიმუმ 50% [2] სწავლის სფეროდან იყოს ათვისებული.

მისანიჭებელი კვალიფიკაციების ყველა შესაძლო შემთხვევა განხილულია IV თავში.

III. სწავლის შედეგები

დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიმართულია იმ ცოდნის, უნარების, ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის შეძენა/განვითარებისკენ, რომლებიც სტუდენტს მოეთხოვება სკოლამდელი განათლების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისას.

კურსდამთავრებულისთვის აუცილებელი სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება

1. აანალიზებს ადრეულ და სკოლამდელ ასაკში (დაბადებიდან ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის პირველ კლასში შესვლამდე) ბავშვის განვითარების მახასიათებლებს, მის შესაბამის თეორიებს და იაზრებს ბავშვის ადრეულ განვითარებას ჰოლისტური პერსპექტივიდან;
2. მიმოიხილავს და განმარტავს ადრეული ასაკის ბავშვთა სწავლა-სწავლების სხვადასხვა სტრატეგიას, ასაბუთებს თამაშის ცენტრალურ მნიშვნელობას და ამ პროცესში ბავშვის აქტიურ როლს;
3. განსაზღვრავს ბავშვებთან კომუნიკაციისა და მათი მონაწილეობის ხელშეწყობის სტრატეგიებს; ასაბუთებს საბავშვო ბაღის და თემის სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში ბავშვების მონაწილეობის მნიშვნელობას;

[2] საგანმანათლებლო პროგრამები და კვალიფიკაციები შეესაბამება დეტალური სფეროს სვეტებში კლასიფიცირებულ სწავლის სფეროებს იმ შემთხვევაში, თუ მათი ძირითადი შინაარსი (სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები) შეესაბამება ამ დეტალურ სფეროს და ამ დეტალური სფეროს ხვედრითი წილი (ასევე კანონმდებლობით განსაზღვრული კრედიტების მოცულობის მიხედვით) 50%-ზე მეტია

4. განაზოგადებს სოციალური მრავალფეროვნების კონტექსტში მუშაობის პრინციპებს და ასაბუთებს დემოკრატიული და ინკლუზიური მიდგომების პრინციპებსა და მნიშვნელობას;
5. განიხილავს მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და ადგილობრივ თემთან თანამშრომლობის პრინციპებს და სტრატეგიებს; ასაბუთებს მშობლების როლსა და მნიშვნელობას ბავშვის განვითარების პროცესში;
6. მიმოიხილავს და მსჯელობს სკოლამდელ განათლებაში არსებულ სიტუაციას ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო კონტექსტში; მსჯელობს ბავშვის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომებზე;
7. განმარტავს და ადარებს მშობლიური და ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების მეთოდებს ბილინგვურ და მულტილინგვური განათლების მოდელებს;
8. განმარტავს ადრეული ასაკის ბავშვის კეთილდღეობის სხვადასხვა ასპექტს: ზრუნვის, ჯანმრთელობის, სოციალური და ძალადობისგან დაცვის და სხვა ფაქტორებს;
9. ჩამოთვლის სხვა სერვისების პროფესიონალებთან თანამშრომლობითი ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და დახმარების გზებს (მაგ. სკოლა, ჯანდაცვისა და სოციალური სერვისები და სხვა).

უნარები

1. თითოეული ბავშვის მიმართ გულისხმიერია და იყენებს პოზიტიური ურთიერთობის პრინციპებს: არის მშვიდი, გაწონასწორებული, გამოხატავს ბავშვების მიმართ პატივისცემას, ინტერესსა და კმაყოფილებას მათთან ურთიერთობით;
2. აკვირდება ბავშვებს, აგროვებს მონაცემებს ბავშვის ქცევის და განვითარების შესახებ აანალიზებს შედეგებს და იყენებს მათ საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, წარმართვისა და რეფლექსიისთვის;
3. ბავშვების საჭიროებების, ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამისად გეგმავს, ხელს უწყობს და ახორციელებს ჰოლისტურ განვითარებაზე მიმართულ მრავალფეროვან სტრატეგიებს, თამაშებსა და აქტივობებს;
4. ბავშვზე ორიენტირებული კურიკულუმების მოდელების გათვალისწინებით შეიმუშავებს ადრეული განათლების კურიკულუმის ჩარჩოს; არსებული კვლევებისა თუ სიტუაციური ამოცანების ანალიზის შედეგად გეგმავს საღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესს ადრეული განათლების მრავალფეროვანი ფორმების, თემის, მშობლებისა, თუ მოწყვლადი ჯგუფების გათვალისწინებით;

5. ქმნის ეფექტიანი ფიზიკური საგანმანათლებლო გარემოს გეგმას, შეიმუშავებს რეკომენდაციებს პრაქტიკის ობიექტის ფიზიკური გარემოს გასაუმჯობესებლად;
6. საგანმანათლებლო პროცესში ხელს უწყობს ბავშვების მრავალფეროვან თამაშს, წაახალისებს ბავშვების ინდივიდუალურ ინიციატივას და ბავშვების მიერ სხვადასხვა ფორმით თვითგამოხატვას;
7. აყალიბებს პედაგოგიურ ხედვასა და მიდგომებს, რომლებიც განამტკიცებს ინკლუზიურ პრაქტიკას საბავშვო ბაღში; აღმოაჩენს ბავშვის შესაძლო სპეციალური საჭიროებებს და შეიმუშავებს სტრატეგიებს მათი ჩართულობისთვის და ახორციელებს ინდივიდუალიზებულ მხარდაჭერას;
8. გეგმავს სხვადასხვა ენობრივ და კულტურულ ჯგუფთან მუშაობის სტრატეგიას - ენების ასათვისებლად თანამედროვე მიდგომების გათვალისწინებით და კულტურული გამოცდილებების გაზიარებით;
9. შეიმუშავებს მშობელთა ჩართულობის სტრატეგიებს ბავშვის, დაწესებულების და თემის საჭიროებების გათვალისწინებით, მშობლებთან საგანმანათლებლო შეხვედრების სცენარს, სიმულაციურ სიტუაციაში წარმართავს ორმხრივ დიალოგს, ეთიკის ნორმების დაცვით იღებს ინტერვიუს ბავშვის შესახებ, უზიარებს ბავშვის განვითარების შესახებ ინფორმაციას;
10. ზრუნავს ბავშვის კეთილდღეობაზე - სოციალურ ინკლუზიაზე უსაფრთხოებასა და თვითმოვლასთან დაკავშირებული საჭიროებების დაკმაყოფილებაზე;
11. განახორციელებს სკოლამდელი განათლების სფეროსთვის დამახასიათებელი კვლევითი/პრაქტიკული ხასიათის პროექტს/ნაშრომს და წარადგენს კონტექსტისთვის შესაბამისი ფორმებითა და ტექნოლოგიებით;
12. ამყარებს კომუნიკაციას შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან ქართულ და უცხო ენაზე;
13. იყენებს თანამედროვე საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიებს.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

1. მუშაობს მინიმალური ზედამხედველობით ეფექტურად გეგმავს და ახორციელებს საგანმანათლებლო პროცესს; უმკლავდება გაუთვალისწინებელ და არაპროგნოზირებად სიტუაციებს, ინოვაციურია და შემოქმედებითი;
2. უწყვეტად განიხილავს და აფასებს საკუთარ და სხვის პრაქტიკას ინდივიდუალურად და ერთობლივად; იყენებს კრიტიკულად რეფლექსიურ მიდგომას პრაქტიკული საქმიანობისადმი. წარმართავს არგუმენტირებულ დისკუსიას ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე;

3. ასაბუთებს კვლევის მნიშვნელობას პრაქტიკის სრულყოფისთვის. მოიძიებს ადრეული განათლების მიმართულებით სხვადასხვა წყაროებიდან ინფორმაციას, დამოუკიდებლად და/ან კოლეგებთან თანამშრომლობით გეგმავს და ახორციელებს პრაქტიკის კვლევას, აანალიზებს კვლევისა და პრაქტიკის თანხვედრას;
4. გუნდური მუშაობის პრინციპის დაცვით ამყარებს პროფესიულ კავშირებს სკოლამდელი განათლების სფეროს სპეციალისტებთან;
5. ახორციელებს ადვოკატირებას ხარისხიანი, ინკლუზიური სკოლამდელი განათლების სერვისების ჩამოყალიბებისთვის ადგილობრივ თემში; აქტიურად არის ჩართული ადგილობრივ თემთან, ბავშვების უფლებების პოპულარიზაციისა და დაცვის პროცესში;
6. აღიარებს სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებში მშობლების ან/და ადგილობრივი თემის წარმომადგენელთა ჩართულობის მნიშვნელობას;
7. ქმნის ინკლუზიურ, თანასწორობასა და სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დამყარებულ საგანმანათლებლო პრაქტიკას;
8. ადგენს საკუთარი სწავლის პროცესისა და პროფესიული განვითარების სამოქმედო გეგმას იდენტიფიცირებული საჭიროებების შესაბამისად.

IV. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ეროვნული კვალიფიკაციებსი ჩარჩოს მე-6 დონის საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის შემდგომ კურსდამთავრებულებს ენიჭებათ კვალიფიკაცია „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ (დანართი №2) მიხედვით.

კვალიფიკაციის ფორმულირება განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსიდან, სტრუქტურიდან და მიზნებიდან გამომდინარე.

ა) თუ სკოლამდელი განათლების სწავლის სფეროს შესაბამისი მე-6 დონის საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია ჰუმანიტარულ, სოციალურ მეცნიერებებზე და ზოგადად სკოლამდელი განათლების თეორიულ შესწავლაზე, მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება შესაძლებელია იყოს:

ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი სკოლამდელ განათლებაში

Bachelor of Arts (BA) In Preschool Education

ბ) თუ სკოლამდელი განათლების სწავლის სფეროს შესაბამისი მე-6 დონის საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი მიზანია კურსდამთავრებულებს ასევე გამოუმუშავოს სამეცნიერო-კვლევითი უნარები, ამ შემთხვევაში კვალიფიკაციის ფორმულირება შესაძლებელია ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმით:

მეცნიერების ბაკალავრი სკოლამდელ განათლებაში

Bachelor of Science (BSc) In Preschool Education

გ) თუ სკოლამდელი განათლების სწავლის სფეროს შესაბამისი მე-6 დონის საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია სფეროს თეორიულ შესწავლაზე და პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებაზე მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება შესაძლებელია იყოს შემდეგნაირი:

სკოლამდელი განათლების ბაკალავრი

Bachelor Of Preschool Education

V. სწავლება, სწავლა და შეფასება

სკოლამდელი განათლების საბაკალავრო პროგრამის სწავლების, სწავლისა და შეფასების მეთოდები უნდა იყოს დოკუმენტირებული, მრავალფეროვანი და ეფუძნებოდეს სწავლის უნივერსალური დიზაინისა და სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს. სწავლებისა და შეფასების მეთოდები უნდა შეესაბამებოდეს საგანმანათლებლო პროგრამის ზოგად მიზნებს, სწავლის შედეგებსა და კონკრეტული კურსის შინაარსობრივ და სტრუქტურულ სპეციფიკას.

სკოლამდელი განათლების პროგრამების ფარგლებში სწავლებისა და სწავლის მეთოდები შესაძლებელია მოიცავდეს შემდეგს (კომბინაცია განისაზღვრება კონკრეტული კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით):

- სემინარი;
- პრაქტიკული საქმიანობა;
- ლექცია;
- ინდივიდუალური (დამოუკიდებელი) მუშაობა;

- მცირე ჯგუფებში მუშაობა;
- კონსულტაცია;
- სიმულაცია;
- დემონსტრირება/პრეზენტაცია;
- სკოლამდელი ლაბორატორია;
- ჯგუფური და ინდივიდუალური ქოუჩინგი;
- სიტუაციის მოდელირება და როლური თამაშები;
- შემთხვევის (ქეისების) შესწავლა;
- პროფესიული პრაქტიკა;
- პროექტზე დაფუძნებული სამუშაო;
- და სხვა.

სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე, სკოლამდელი განათლების პროგრამების უმნიშვნელოვანესი კომპონენტია პროფესიული პრაქტიკა, რომელიც მოიაზრებს პროგრამის მიმდინარეობასთან ერთად მზარდი პასუხისმგებლობით ადრეული და სკოლამდელი განათლების დაწესებულებაში პრაქტიკულ მუშაობას. დამატებით, სტუდენტების სპეციფიკური ინტერესებიდან გამომდინარე პრაქტიკის ორგანიზება შესაძლებელია სხვა თემატურად დაკავშირებულ გარემოში (მაგალითად, ადრეული ინტერვენციის სერვისები, მუზეუმები, საბავშვო ბიბლიოთეკები და სხვ.).

პროგრამის ფარგლებში სტუდენტების მიერ შეძენილი ცოდნისა და უნარების ეფექტურად შეფასებისთვის შესაძლებელია გამოყენებული იქნას შემდეგი მეთოდები (კომბინაცია განისაზღვრება კონკრეტული კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით):

- ✓ ვერბალური მოხსენება, პრეზენტაცია;
- ✓ პროექტი;
- ✓ ესსე და სხვა წერითი დავალებები (მაგ. კურიკულუმის მიხედვით საგანმანათლებლო გეგმის შედგენა, აქტივობების შემუშავება და სხვ.);
- ✓ სტუდენტის მიერ შექმნილი საგანმანათლებლო და განმავითარებელი რესურსი;
- ✓ რეფლექსური ჩანაწერები;
- ✓ თვითრეფლექსია;
- ✓ დაკვირვების და შეფასების ჩანაწერები;
- ✓ არაფორმალური დაკვირვების ინსტრუმენტები;
- ✓ პრაქტიკის პორტფოლიო;
- ✓ პრაქტიკის კვლევის ანგარიში;
- ✓ შემთხვევის („ქეისის“) განხილვა /ანალიზი;

- ✓ შემაჯამებელი ანგარიშები;
- ✓ ინდივიდუალური გეგმები სხვადასხვა საგანმანათლებლო საჭიროებებზე;
- ✓ საჭიროებებზე დაფუძებული პროფესიული განვითრების გეგმა;
- ✓ საბაკალავრო ნაშრომი;
- ✓ და სხვა.

დამატებითი ინფორმაცია

პრაქტიკული სწავლება

სკოლამდელი განათლების უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკის/სტაჟირების კომპონენტი შეადგენს მინიმუმ 40 ECTS კრედიტს.

წინაპირობა

პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი(ები) უნდა ფლობდნენ განათლების ან ფსიქოლოგიის სფეროში აკადემიური საქმიანობის (სწავლება ან/და კვლევა) მინიმუმ 3-წლიან გამოცდილებას ან დარგში მუშაობის არანაკლებ 3-წლიან გამოცდილებას.

პროგრამის განხორციელება შეუძლია როგორც შესაბამისი კვალიფიკაციის აკადემიურ პერსონალს, ასევე სათანადო პრაქტიკული გამოცდილების (არანაკლებ 3 წელი) მქონე სპეციალისტებს/პრაქტიკოსებს მინიმუმ ბაკალავრის ან ბაკალავრთან გათანაბრებული ხარისხით

VI. დამატებითი ინფორმაცია

6.1 სკოლამდელი განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი ძალაში შევიდეს დამტკიცებისთანავე.

6.2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის № 69/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,სწავლის სფეროების კლასიფიკატორით" გათვალისწინებული დეტალური სფეროს - **სკოლამდელი განათლების მასწავლებლის მომზადება,** სწავლის სფეროს - **სკოლამდელი განათლება**, პროგრამა/პროგრამები დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოიყვანონ ბრძანების ძალაში შესვლიდან 1 წლის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი, პროგრამა/პროგრამებს 1 წელზე ნაკლებ ვადაში უწევს ცენტრში სააკრედიტაციო განაცხადის წარდგენა. თუკი, პროგრამა/პროგრამებს აღნიშნული ბრძანების ძალაში შესვლიდან 1

წელზე ნაკლებ ვადაში უწევს ცენტრში სააკრედიტაციო განაცხადის წარდგენა, სააკრედიტაციო განაცხადში მითითებული საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაში უნდა იყოს დამტკიცებულ სკოლამდელი განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელთან.

6.3. დაწესებულება ვალდებულია, ახალი საგანამანათლებლო პროგრამის/პროგრამების სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, სააკრედიტაციო განაცხადის წარდგენის დროს, პროგრამა/პროგრამები შესაბამისობაში იყოს დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებთან.

VII. დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

7.1. დოკუმენტის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

სკოლამდელი განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს წევრები

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია/დაწესებულება	თანამდებობა
1.	თამარ გაგოშიძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი თამარ გაგოშიძის ნეიროფსიქოლოგიის ცენტრი	ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი. დამფუძნებელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2.	ქეთევან აფთარაშვილი	შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის	განათლების მეცნიერების დოქტორი, განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, სკოლამდელი განათლების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი, განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი-საბჭოს მდივანი;

			უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის ექსპერტი
3.	ხათუნა დოლიძე	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფსიქოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, სკოლამდელი და ინკლუზიური განათლების ცენტრის ხელმძღვანელი, სკოლამდელი განათლების მიმართულებით; ჯოენის სამედიცინო ცენტრის ფსიქო-სოციალური სამსახურის ხელმძღვანელი; სერთიფიცირებული ჩაილდ ლაიფ სპეციალისტი, - საბჭოს წევრი;
4.	თამარ საღინაძე	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბავშვის განვითარების ინსტიტუტის სასერტიფიკატო პროგრამების კოორდინატორი; უნივერსიტეტის მოწვეული სპეციალისტი, მენტორი, სკოლამდელი განათლების კონსულტანტი, ტრენერი - საბჭოს წევრი;
5.	ნინო ჯიჯავაძე	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოს განათლების,	მოწვეული სპეციალისტი, მკვლევარი, მენტორი, კონსულტანტი, „სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის” პროგრამის საგანმანათლებლო რესურსების დანერგვის ექსპერტი. კონსულტანტ-ტრენერი ადრეული და

		მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო სსიპ - მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებისა და ავტორიზაციის პროცესის მიმართულებით, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ქვეპროგრამის ტრენერი - საბჭოს წევრი;
6	თამთა კუხალეიშვილი -	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ადრეული განათლების ცენტრის „მწვანე ალუბალი"	მოწვეული სპეციალისტი, მენტორი, კონსულტანტი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამის ტრენერი მასწავლებელი და საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი - საბჭოს წევრი;
7	ნინო გულიაშვილი -	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ა(ა)იპ - საქართველოს პორტიჯის ასოციაცია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი სსიპ - მასწავლებლის პროფესიული	მოწვეული სპეციალისტი, მკვლევარი, მენტორი, დირექტორი, ჩეხეთის კარიტასის ადრეული და სკოლამდელი განათლების სპეციალისტი, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების კურიკულუმის ექსპერტი

		განვითარების ეროვნული ცენტრი	სკოლამდელი განათლების სპეციალისტი - საბჭოს წევრი;
8	თამარ ბაქრაძე	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ადრეული განათლების ცენტრის „მწვანე ალუბალი“	მოწვეული სპეციალისტი, მკვლევარი, მენტორი, ბავშვის განვითარების ინსტიტუტის ტრენერი, დირექტორი - საბჭოს წევრი;
9	მანანა მელიქიშვილი -	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფსიქოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე - საბჭოს წევრი;
10	დალი ბერანძე -	სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, საზოგადოებრივ მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, განათლების მიმართულების კოორდინატორი ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი - საბჭოს წევრი;
11	ნატო ქობულაძე -	სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	განათლების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, „სკოლამდელი განათლების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო

			პროგრამის თანახელმძღვანელი - საბჭოს წევრი;
12	ნანი მამულაძე -	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	განათლების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - საბჭოს წევრი;
13	ნატო შეროზია -	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი - საბჭოს წევრი;
14	იაგორ ბალანჩივაძე -	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	განათლების დოქტორი, პედაგოგიური ფაკულტეტის პედაგოგიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს წევრი;
15	ნინო მამრიკიშვილი	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	განათლების დოქტორი, მოწვეული ლექტორი, პროფესიული განათლების ცენტრის (ქუთაისის ფილიალი) პროფესიული პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“ - ხელმძღვანელი, პროფესიული მასწავლებელი - საბჭოს წევრი;

16	ხათუნა ბარაბაძე -	სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი	პედაგოგიკის დოქტორი, მასწავლებლის/დირექტორის პროფესიის რეგულირების ქვეპროგრამის მენეჯერი - საბჭოს წევრი;
17	თამარ თოლორაია	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის სკოლამდელი განათლების სამმართველოს უფროსი ტრენერი ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განთლების დაწესებულებების ავტორიზაციის პროცესის განხორციელების უზრუნველსაყოფად შექმნილი საკოორდინაციო ჯგუფის წევრი - საბჭოს წევრი;
18	ნინო ლაბარტყავა	სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის	ფსიქოლოგიის დოქტორი, სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის სკოლამდელი განათლების სამმართველოს უფროსი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს წევრი;
19	გიორგი არზიანი	საქართველოს პარლამენტი	განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის მთავარი სპეციალისტი - საბჭოს წევრი;

20	მირანდა ჩანქსელიანი	ა(ა)იპ - თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს	ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების განყოფილების უფროსი - საბჭოს წევრი;
21	ქეთევან შარვაძე	ა(ა)იპ - თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო	განვითარების განყოფილების უფროსი - საბჭოს წევრი;
22	ნათია ჯოხაძე -	გაეროს ბავშვთა ფონდი (იუნისეფი)	განათლების ექსპერტი - საბჭოს წევრი;
23	გიორგი მესხიძე	საერთაშორისო ასოციაცია კივიტას გეორგიკა	დამფუძნებელი, გამგეობის თავმჯდომარე, ევროპის ტრენინგ ორგანიზაციათა ქსელის ვიცე - პრეზიდენტი და გამგეობის წევრი - საბჭოს წევრი;
24	თეკლე კაპანაძე	საბავშვო ბაღების საკონსულტაციო ცენტრი „ქიდსოფისი" სსიპ - „ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის"	დამფუძნებელი დირექტორი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი" მასწავლებელი - საბჭოს წევრი;
25	თამარ ჩიკვილაძე	ა(ა)იპ - კერძო ბაგა - ბაღების ასოციაცია საბავშვო ბაღის „ცეროდენა" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის	წევრი, დირექტორი ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განთლების დაწესებულებების ავტორიზაციის პროცესის განხორციელების

		საქართველოს პარლამენტის	უზრუნველსაყოფად შექმნილი საკოორდინაციო ჯგუფის წევრი განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის საბჭოს წევრი სკოლამდელი აღზრდის მიმართულებით - საბჭოს წევრი.